საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/01 **26/01/2021**

რეცენზია

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) „ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დისტანციური კონსულტაცია პირველად ჯანდაცვაში“ შესახებ

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციას რეცენზირებისთვის წარედგინა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დისტანციური კონსულტაცია პირველად ჯანდაცვაში“.

წარმოდგენილი ფორმატით პროტოკოლი შემუშავებულია დარგის ექსპერტების მიერ, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კომპონენტის გაძლიერება პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ბავშვის განვითარების ასპექტების გაერთიანებით, მათ შორის COVID-19 გაკვეთილების გათვალისწინებით“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსებით. აღსანიშნავია, რომ პროტოკოლი ძირითადად, ეყრდნობა ბრიტანეთის ნაციონალური ჯანდაცვის სისტემის სახელმძღვანელოებს პირველად ჯანდაცვაში ონლაინ კონსულტაციასა და ტრიაჟთან დაკავშირებით, აგრეთვე, მსგავს თემაზე სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებს.

COVID-19 პანდემიის შედეგად პირველადი ჯანდაცვის სისტემისთვის თვალსაჩინო გახდა, რამდენად მნიშვნელოვანია დისტანციური კომუნიკაციის ჩვევების განვითარება ოჯახის ექიმისთვის. ბავშვის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა და ესენციური პედიატრიული სერვისების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში, რადგანაც მათ წყვეტას შესაძლოა, ბავშვის ჯანმრთელობისთვის არასასურველი გამოსავალი სდევდეს თან.

პროტოკოლში ნათლადაა წარმოჩენილი პედიატრიული დისტანციური კომუნიკაციის მნიშვნელობა, რაც მოიცავს კონსულტაციისთვის უფრო მეტი დროის გამოყოფას, ვიდრე ჩვეულებრივი პირისპირ კონსულტაციის შემთხვევაში, დეტალური და ყოვლისმომცველი ანამნეზის შეკრებას, მათ შორის, ვიზუალური შეფასების შეუძლებლობის გამო, სპეციფიკურ ნიშნებზე კითხვების დასმას, და გამოკითხვისას მეტწილად ღია კითხვების გამოყენებას, რაც ბავშვს და მის მშობლებს/მომვლელებს სიმპტომების გაზიარების უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების პირისპირ მიწოდება, თანამედროვე ოჯახის ექიმმა უნდა შეძლოს პაციენტის დისტანციური სამედიცინო კონსულტაციის განხორციელება და მდგომარეობის მართვის შესაბამისი გეგმის შემუშავება. ამასთანავე დისტანციური კონსულტაციის უნარ-ჩვევა მნიშვნელოვანი და სასარგებლო კომპეტენციაა, რომლის გამოყენებაც მთელი კარიერის განმავლობაში დაეხმარება ოჯახის ექიმს პედიატრიული სერვისების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.

პროტოკოლში ნათლად არის წარმოდგენილი ონლაინ კონსულტაციის განხორციელების ჩვენებები პედიატრიულ პრაქტიკაში და აგრეთვე, სიტუაციები, როცა დისტანციური კონსულტაციის განხორციელება მიზანშეწონილი არ არის.

საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და განხორციელდეს ადეკვატური ღონისძიებები წარმოდგენილ პროტოკოლში ასახული რეკომენდაციების პირველადი ჯანდაცვის პერსონალისათვის დროულად გაცნობისთვის და მათი იმპლემენტაციის მექანიზმების შემუშავებისთვის და მხარდაჭერისთვის.
ზემოხსენებულის გათვალისწინებით რეკომენდაციას ვუწევთ პროტოკოლის „ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დისტანციური კონსულტაცია პირველად ჯანდაცვაში“ დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი